საქართველოს მთავრობის

დადგენილება №263

2014 წლის 1 აპრილი

ქ.თბილისი

„სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებაში (სსმ, 2009 წელი, მუხლი 1798) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3-ის ,,სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო რაიონების მიხედვით სადაზღვევო ვაუჩერის ფასის დადგენისა და მზღვეველი კომპანიის გამოვლენის წესი და უწყებათაშირისი კომისიის სხვა უფლებამოსილებების“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის:

- „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) **ირაკლი გვარამაძე** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;“.

2. ,,კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) **ილია ბეგიაშვილი** - საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 31 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**